

უფლება, როგორც ღირებულება - დაცვის გარანტიები და რეალობა.

*ადამიანს მიემართავეთ: “ბატონო”, ღმერთს – “უფალო”
და საოცარი: “უფლება ქართულში “მატიანისაგან”
კი არ მოდის, არამედ უფლისაგან. -*

გრიგოლ რობაქიძე

ადამიანის უფლებები, როგორც უმაღლესი ღირებულება და დაპირისპირებუბის პროცესის გაზომვის კრიტერიუმი, ყოველთვის იყო მეცნიერთა დისკუსიის საგანი. მაგრამ რეალობის გათვალისწინებით, კითხვებზე პასუხი - უფლებაა მხოლოდ უზენაესი ღირებულება თუ უფლებებშიც უნდა აისახოს ღირებულებები? გარანტიათა რა სისტემა მათი რეალური განხორციელების საფუძვლებს? – კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება.

თავიდანვე მინდა შევთანხმდეთ პრინციპზე, რომ ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი წარუვალი და უზენაესი ადამიანური ღირებულებებია, ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი ამოუწურავია. დიახ, სწორედ ინდივიდუალური უფლებებია თანამედროვეობის მონაპოვარი, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული ადამიანი ფლობს სუვერენიტეტს საკუთარ საცხოვრისზე, სადაც შეუძლია თავისუფლად იმოქმედოს, სადაც ის დამოუკიდებელია სხვებისაგან. მაგრამ, ამავე დროს, მან პატივი უნდა სცეს სხვა ადამიანის ცხოვრებასა და საქმიანობას. ხაზს ვუსვამ, ინდივიდმა უპირველეს ყოვლისა უნდა გააცნობიეროს უფლების, როგორც ღირებულების არსი სამყაროსა და ბუნებასთან, გარშემო მყოფ ადამიანებთან ურთიერთკავშირში.

ადამიანის უფლებების იდეას სხვადასხვა ეპოქაში მკვეთრად განსხვავებული ახსნა ჰქონდა, რაც ამ იდეის მთავარი ღირებულებების – ღირსებისა და თავისუფლების სოციალური კატაკლიზმებითა თუ პოლიტიკური იდეოლოგიით გამოწვეული ე.წ. პოზიტიური (“სტატუს აქტივის” – სამართლებრივი თანასწორობის უზრუნველყოფის მოთხოვნა) თუ ნეგატიური (“სტატუს ნეგატივის” – სახელმწიფომ არ უნდა განახორციელოს არავითარი ინტერვენცია ადამიანის ღირსებით დაცულ სფეროში) შეფერილობების ინტერპრეტაციის შედეგია.

“ბუნებითი სამართლის” (პლატონი, ციცერონი, არისტოტელე, აგრელიუს ავგუსტინე, თომა აკვინელი და სხვა) საფუძველზე შექმნილი დასავლური ფილოსოფიური კონცეფციები ინდივიდის ავტონომიურობისა და ცივილიზაციის პერსონოცენტრისტული საზოგადოებისაკენ შემობრუნება იყო (ჯ. ლოკი, შ. მონტესკიე, ჟ. რუსო, ი. კანტი, თ. ჯეფერსონი, ა. სმიტი, ჯ. მილი, ი. ბენტამი და სხვა). უფლებების უნივერსალური თეორია საფუძვლად დაედო სხვადასხვა რევოლუციებსა და სამართლებრივ იდეოლოგიებს. ამასთან, კულტუროლოგიური

ორიენტაციის გამო, არსებითი განსხვავებაა ევროპელი და ამერიკელი მკვლევარებისა (გ. მორგენტაუ, ტ.ეინი, რ.ოვარდი, ა.შლეზინგერი, დ.დონელი, დ.ფორსაიტი) და აღმოსავლეთისა და მუსლიმური ქვეყნების მკვლევარების (ა. აბდულახი, ჟ. ბაუერი, კ.ტანი და სხვა) პოზიციებს შორის. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე თეორიებში ადამიანის უფლებების კარდინალური გადაფასება მიმდინარეობს და უფლებათა დაცვის გარანტიების გზების ძიების ნაცვლად, იდეის შინაარსის განხილვა ვირტუალურ სამყაროში გადადის.

თუ ლიბერალებს მიაჩნიათ, რომ ისეთ საზოგადოებას უნდა ვესწრაფოთ, სადაც თითოეული ადამიანის აზროვნების თავისუფლება და სახელმწიფოს ძალაუფლების შეზღუდვა იქნება გარანტირებული, მარქსისტები თვლიან, რომ ლიბერალიზმი სიკეთის მსახურების მოჩვენებით, ადამიანის ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელ პირობებს ანადგურებს, აძლიერებს ატომიზმს (ანუ ადამიანებს მხოლოდ საკუთარი თავის იმედი აქვთ და ერთმანეთის მიმართ არანაირ ვალდებულებას არ გრძნობენ, მით უმეტეს სხვა ღირებულებების მიმართ), სუბიექტურ ავტონომიას, ეთიკურ რელატივიზმს. კლასიკოსი ლიბერალები ან ლიბერტარიანელები ფიქრობენ, რომ თუ საზოგადოებას მინიმუმამდე დაჰყავს შეზღუდვები, რომლებსაც ადამიანები ბედნიერების ძიებისას აწყდებიან, მთავრობის ჩაურევლობა – სამოქალაქო თავისუფლების არსებობას უზრუნველყოფს. ასეთ შემთხვევაში თავისუფლების, როგორც **უფლების მთავარი ღირებულების** კარგად ან ცუდად შეფასება სუბიექტური სტანდარტია, რომელსაც ინდივიდი საკუთარი თავისათვის განსაზღვრავს (პროფესორი დონ ბენალტე), მაგრამ ადამიანები ხომ მორალური ქმნილებანი არიან, რასაც რობერტ ნოზაკმა “მორალური სივრცე”, ანუ პიროვნული პასუხისმგებლობის სფერო უწოდა.

თავისუფლების პოზიტიური და ნეგატიური გაგების საკითხში მეცნიერული დისკუსი უფრო შორს წავიდა და კვლევის საგნად გახდა იდეა – არიან თუ არა ადამიანები მორალური ქმნილებანი? სწორედ ამიტომ ვუწოდებ ადამიანის უფლებების თანამედროვე კვლევებს საკითხის ვირტუალურ სამყაროში გადატანა. ეს ისეთივე კითხვაა, როგორც მაგალითად - აქვს თუ არა უფლება სახელმწიფოს დასაჯოს დამნაშავე? საკითხის ამგვარად დასმა ლოგიკური შეცდომაა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში საექვო ელემენტებისგან ჰიპოთეზის დამტკიცება არ ხდება. არის ალბათობა, რომ დედამიწა არაა მრგვალი, მაგრამ მეცნიერები შეთქმულებას კი არ აწყობენ საზოგადოების მიმართ, როცა ამ ალბათობას პრაქტიკაში არ იყენებენ, არამედ დედამიწის სიმრგვალის ეჭვს ჰიპოთეზის დასამტკიცებლად არ მიმართავენ.

ასევეა სოციალურ მეცნიერებებში: თუ საექვოდ გავხდით ადამიანის მორალურ ქმნილებად არსებობის საკითხს, მაშინ უფლებათა კვლევის სფერო, როგორც ღირებულება, საფუძველს მოკლებულია. არ ვაპირებ უარყოფილად გონების ანალიტიკური დასკვნა, რომ ლიბერალიზმი პროგრესზე დაფუძნებული პოლიტიკური ფილოსოფიაა, ინდივიდუალური თავისუფლების დასაცავად. არც ჰეივუდის პოსტულატია კრიტიკის ღირსი, რომ “არც ერთი ცალკეული პიროვნების ინტერესი არ შეიძლება სოციალური ჯგუფის ან კოლექტივის ინტერესებს შეეწიროს”, იმიტომ რომ მათი ნააზრევი თავისუფლების, როგორც “ფიქრის და სურვილისამებრ ქმედების შესაძლებლობის” საფუძველს ეყრდნობა. ამ შემთხვევაში, ეჭვი მხოლოდ

ადამიანის მოფიქრალ ქმნილებად არსებობის შესახებ შეიძლება გაუჩნდეს ვინმეს, რაც ჰეივუდის აღნიშნულ პოსტულატს ღირებულების გარეშე ტოვებს და მსჯელობა ასეთ შემთხვევაშიც ლოგიკურ აზრსაა მოკლებული.

უფლების მეორე მთავარი ღირებულება – **ღირსება** ასევე ლოგიკური აქსიომების ჯაჭვია, რომლის მთავარ რგოლს პირადი და ადამიანური ღირსებები შეადგენენ. **პირადი ღირსება** კეთლშობილური საქციელთ მიიღწევა, ხოლო **ადამიანური ღირსების** გრძნობა კაცობრიობის ბუნებიდან მომდინარეობს და ერთნაირად აქვს მომადლებული ყველა ადამიანს, იქნება ეს ახალშობილი თუ ჩამოყალიბებული დამნაშავე. სიკეთის კეთება, სოლიდარობა, ნაციონალური ინერესებისათვის სარგებლიანობა, ღირსების საკითხია. ასე რომ, უფლებოს უზენაესობა ღირსებით მიიღწევა და ახალი უფლებებისა და თავისუფლებების, როგორც მორალური ფასეულობების, აღმოცენებას უწყობს ხელს.

უფლების უზენაესობა და სუვერენობა თვით ინდივიდის ღირსებისა და თავისუფლების ამგვარი გაგების გარეშე ვირტუალურ და მიკერძოებულ ფრაზად რჩება, რომლისთვისაც რეალურ სამყაროში გარანტიების შექმნა პრინციპულად შეუძლებელია. ამ შემთხვევაში, ინდივიდს ზნეობრივი არჩევანის ნება აქვს. რომელია პირველადი – ღირსება თუ თავისუფლება? – კითხვის ასე დასმა რომანტიზმის სფეროდ მიმაჩნია და მეცნიერულ კვლევასთან მას საერთო არაფერი აქვს. მე მხოლოდ იმ ლიბერალებს მივაკუთვნებ თავს, ვინც კითხვაზე - როგორ უნდა მოიქცნენ ლიბერალები, როცა არალიბერალისაგან არალიბერალურ საქციელს ხედავენ? – პასუხს უფლებათა ღირებულებების (ღირსება და თავისუფლება) გათვალისწინებით გასცემენ. რაფინირებული ფიქრისა და ნიუანსური ინტელექტუალიზმის გარდა უფლებათა დაცვის პრაქტიკულ განხორციელებას ლოგიკაზე დაფუძნებული მსჯელობაც სჭირდება.

თანასწორობა, შემწყნარებლობა ანუ ტოლერანტობა, შეთანხმება, კონსტიტუციონალიზმი ის წინაპირობებია, რომელზეც უფლებათა დაცვის გარანტიები უნდა აიგოს.

უფლებათა დაცვის გარანტიების სისტემური ანალიზი პრობლემის პრაქტიკული სფეროა. უფლებათა დაცვის მთავარი გარანტი სახელმწიფოა, რომელიც ამ ფუნქციის უზრუნველყოფის **ინსტრუმენტად ვალდებულებას იყენებს**. ამ შემთხვევაში ვალდებულება განისაზღვრება, როგორც მიზანმიმართული, გონიერი, სასარგებლო, ობიექტურად დასაბუთებული ქცევა, რომელიც მოწოდებულია წესრიგისა და მშვიდობიანობისათვის ადამიანთა ცხოვრებაში. ის – კანონიერი ბარიერია თვითნებობის, ქაოსის, არაორგანიზებულობის, დესტრუქციულობისა და საზოგადოების ნორმალური განვითარების ხელისშეშლისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ **უფლებებისა და ვალდებულებების შერწყმამ** ასახვა ჰპოვა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წელს მიღებულ ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში: “თავისი უფლებათა განხორციელებისას ყოველი ადამიანი უნდა განიცდიდეს მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომელიც კანონითაა დადგენილი მარტოდენ იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სხვების უფლებათა და თავისუფლებათა ჯეროვანი აღიარება და პატივისცემა და დაკმაყოფილდეს ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთო კეთილდღეობის სამართლიანი მოთხოვნები დემოკრატიულ საზოგადოებაში” (29- ე მუხლი). სამოქალაქო და პოლიტიკური

უფლებების საერთაშორისო პაქტის (მიღებულია 1966 წელს 16 დეკემბერს და ძალაშია 1978 წლის 23 მარტიდან) პრეამბულაში წერია: “ყველა ადამიანს აქვს მოვალეობანი საზოგადოების წინაშე, რადგან მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი მისი პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარება”.

უფლებათა და ვალდებულებათა ერთიანობის თეზისი ხშირად კრიტიკის საგანი ხდება. დიას, ამ კრიტიკას გარკვეული საფუძველი გააჩნია, რადგან იგი ხშირად იდეოლოგიზირებულია ხოლმე “ბედნიერების” ხელოვნურად ფორსირებული პროცესით.

პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა უფლებებს ან ვალდებულებებს იმპერატიული მნიშვნელობა ენიჭება. მაგ.: უფლებათა დაცვის კონვენცია (I დამატებითი ოქმი, III მუხლი) არჩევნებში მოქალაქის თავისუფალი მონაწილეობის უფლებას აღიარებს. ხშირად გამართულა დებატები, ამ უფლების არ გარხორცილების დასჯადობის თაობაზე. ასეთ მიდგომას სამართალთან კავშირი არ აქვს, ეს სახელმწიფოს მხრიდან იძულებაა მიაღებინოს მოქალაქეს მისი ნების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება. ასევე, ხშირია მოქალაქეთა ვალდებულების წინა პლანზე წამოწევა სახელმწიფოსთან მიმართებაში, მაშინ როცა ნიველირებულია სახელმწიფოს ვალდებულებები მოქალაქის წინაშე. ასეთი ანომალიების კრიტიკის პროცესს თან ახლავს ყოველგვარი კორელაციის (ერთიანობა, თანაწყობა, ურთიერთზეგავლენა) გამორიცხვაც.

კონვენციებსა და დეკლარაციებს რომ თავი დავანებოთ, განა პრაქტიკაში ყოველი ადამიანის თანაცხოვრება კორელაციის საწყისებზე არ ვითარდება? არ არის უფლება ვალდებულების გარეშე, ვალდებულება კი არაა თუ არ არის უფლება. ამ შემთხვევაში კითხვის დასმა - უნდა არსებობდეს თუ არა უფლებათა და ვალდებულებათა შერწყმის კონცეფცია, უფლებათა უზენაესობის შემთხვევაში? – არაკორექტულია. მართებულია შეგაფასოთ რა არის მიზანი ასეთი კორელაციისა (მაგალითად ხელისუფლების შენარჩუნება), კეთილდროების მომავალში დაპირება, თუ უფლებათა დაცვის გარანტიის შექმნა.

უფლებათა და ვალდებულებათა ერთიანობა მრავალწახნაგოვანი სისტემას წარმოადგენს: ისტორიული, სოციალურ-პოლიტიკური, ფილოსოფიური, იურიდიული, ზნეობრივი, ფსიქოლოგიური და სხვა ელემენტებით. ცხადია რომ უფლებები და ვალდებულებები რაც არ უნდა განცალკევებულ კატეგორიებად განვიხილოთ, საზოგადოებრივ ურთიერთობებში ურთიერთთანამშრომლობის გარეშე ვერ იარსებებენ. სუბიექტურ უფლებათა და ვალდებულებათა კორელაცია აქსიომატურია სამართლის ფილოსოფიისთვის, სამართლის თეორიისა და დარგობრივი იურიდილი მეცნიერებებისათვის. სამწუხაროდ მეცნიერები ნაკლებად იკვლევენ ვალდებულების საკითხს უფლებებთან მიმართებაში. ეს უფლების რეალიზების პროცესს სარეცელის პრინციპით ახსნაა. ამგვარი დამოკიდებულება იწვევს საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ ცნობიერებაში ვალდებულების კატეგორიის სუსტად გავრცელებას. ის ხშირად “დავიწყებულია”, რადგან მკვეთრად განსაზღვრული კლასიფიკაცია ვალდებულებებისა არ არსებობს. ასეთი ვალდებულებები მხოლოდ კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემაში გვხვდება (მაგ: მევალის უფლებას – მოვალის ვალდებულება უკავშირდება, დაუძლეველი ძალით გამოწველი ზიანის ანაზღაურებას – სახელმწიფოს ვალდებულება და

ასე შემდეგ). მიხდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ რამდენი უფლებაცაა სწორედ იმდენი მოვალეობა, და მეცნიერებმა ამ საკითხების კვლევას სერიოზული ძალისხნევა უნდა მიუძღვნან.

უფლება და ვალდებულება, თავისუფლება და პასუხისმგებლობა - ადამიანთა ნორმალური ყოფაცხოვრების აქსიომებია. ეს სამართლიანი და დემოკრატიულია. ამ პრინციპის დარღვევა არსებითად პრაქტიკაში ყოველთვის სოციალურ ანომალიას გვაძლევს. ვალდებულებები - საზოგადოების მიერ პიროვნებისათვის წაყენებულ მოთხოვნათა რეესტრია, ამასთან, ისინი იურიდიული თვალსაზრისით პოლიტიკურ-ზნეობრივი მოთხოვნების მინიმუმს გამოხატავენ და არა მაქსიმუმს. მაქსიმუმი კი მორალია. დიახ, მორალური ვალდებულების მაქსიმა ისაა, რომ “ჩემი უფლებები მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი”.

უფლებასა და ვალდებულებას შორის მკვეთრი დისბალანსი, რომელიც საერთაშორისო აქტებსა და კონსტიტუციებშია გადმოცემულია, იმით აიხსნება, რომ თუ უფლება ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს, მოვალეობა საზოგადოებრივი წესრიგის მხარდამჭერად გვევლინება. რა თქმა უნდა ეს მართებულია. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ პტაქტიკაში მოვალეობები “გაუცნობიერებლად” ახლავს თან უფლებებს და, როგორც უკვე აღვნიშნე, გადამისამართებულია კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში. ანუ უფლებათა რეალიზაციის პროცესში. ვალდებულება ხომ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფის საშუალებაა, მათი განხორციელების გარანტიაა.

ოპონენტთა აზრი ასეთი იქნება - ვალდებულებათა დიდი ოდენობით ჩამონათვალი - ტოტალიტარული სახელმწიფოს ნიშანია. იქნებ დავეთანხმო კიდევ მათ. მაგრამ, მე ამ შემთხვევაში კორელაციაზე ვსაუბრობ და არა რაოდენობრივ სტატისტიკაზე. დამისახელეთ საზოგადოება ვალდებულებების გარეშე. პრობლემა ის კი არაა, რომ ვალდებულებათა მოცულობა ეროვნული ტრადიციებით, დემოკრატიის განვითარების ხარისხით, სამართლებრივი და პლიტიკური კულტურით თუ სხვა მიზეზებითაა გაპირობებული, არამედ ის, რომ თანამედროვე სახემწიფოში ვალდებულებები ჰარმონიულად არ ერწყმის ადამიანისა უფლებებს. ურთიერთდაპირისპირებულ პოლუსად მათი წარმოჩენა და მათ შორის მკვეთრი ზღვარის გაგლება, მართლშეგნების უმწიფრობა და ღირებულებათა სისტემის აღრვევაა.

უფლებათა და თავისუფლებათა მხოლოდ აღიარება კი არა, მათი პტაქტიკაში რეალიზაციის კონკრეტული გზების ძიება მოგვეხმარება ხარვეზებისა და “თეთრი ლაქების” გამოვლენაში, ამის კვალდაკვალ კი განმტკიცდება სამართლებრივი სახელმწიფოს როლი.

ობიექტური მიზეზების გამო სამართალი თანაარსებობს საზოგადოებასთან, წამყვანი როლი ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა საზოგადოებას ეკუთვნის, რომელიც სამართლის შინაარსის დეტერმინებას ახდენს და მის განვითარებას უზრუნველყოფს. სამართალი მორალიდან და ჩვეულებებიდან იღებს სოციალურად ღირებულს და მსოფლიო კულტურისა და ცივილიზაციის მიღწევებით იკვებება. შედეგად - გარკვეულ დამოუკიდებლობას აღწევს და ეძლევა შესაძლებლობა აქტიურად იმოქმედოს საზოგადოებაზე. ასეთი წინაპირობების შემთხვევაში ხდება სამართალი უფლებათა რეალიზაციის

ინსტრუმენტი და სახელმწიფოს ვალდებულებათა საზომი. სამართალი ამა თუ იმ ქმედებას ორგანიზებულობის, მდგრადობის, თანხმობის ელფერს აძლევს. სამართლის ღირებულება სწორედ ისაა, რომ თანხმობისა და სპეციფიური ინტერესების გათვალისწინებით ზემოქმედებს ადამიანთა ქცევებზე. სამართლის ღირებულება მაშინ იქნება მაღალი, თუ ის სპეციფიურ და კერძო ინტერესებს ნათლად გამოხატავს. სამართლის ღირებულების ხარისხი იმითაც განისაზღვრება, რამდენად ასახავს იგი საზოგადოებაში პიროვნების თავისუფლებას. ამასთან, სამართალი სოციალურ თავისუფლებასთან ერთად სოციალური პასუხისმგებლობის ელემენტებსაც შეიცავს, რაც თვითნებობის და ცალკეული ინდივიდების უკონტროლოების გამორიცხვის შესაძლებლობაა.

ადამიანი ყველა ნივთის საზომია – ესაა სამართლის მაქსიმა. ამიტომ სწორედ სამართალში ხედავს საზოგადოება გაუაზრებელი და ვოლუნტარისტული გადაწყვეტილებებისაგან დაცვის გარანტიებს. სამართლებრივი მიდგომები ერთადერთი ცივილიზებული შესაძლებლობაა პრობლემების გადაწყვეტისა, როგორც საერთაშორისო, ასევე ნაციონალურ დონეზე. ამიტომ, იგი არის სოციალური მშვიდობისა და თანხმობის მიღწევის ინსტრუმენტი, რომელმაც უნდა მოხსნას სოციალური დაძაბულობა.

უფლებათა კონცეფციის განვითარებამ სამართლის ტრანსფორმირებას შეუწყო ხელი, მაგრამ, ამ იდეის ცალმხრივად გააზრებამ კანონებს შორის წინააღმდეგობები გააჩინა. ამიტომ, ამოცანათა სრულფასოვანი გადაწყვეტა სამართლისადმი პატივისცემის კონტექსტში სამეცნიერო კვლევების პრობლემად იქცა.

სამართალი თანაარსებობს სხვა სოციალურ ნორმებთან (მორალურ-ზნეობრივი, რელიგიური, კორპორატიული, ესტეტიური და სხვა). ისინი კონცენტრირებულად გამოხატავენ საზოგადოების მოთხოვნას ქმედებათა მოწერიებულობის თაობაზე და განსაზღვრავენ სამართლის ღირებულებას, როგორც აზრის უნივერსალიას. ესაა **სამართლის იდეოლოგია**, ანუ წარმოდგენების, შეხედულებების, იდეების ერთობლიობა, რომლითაც განისაზღვრება ადამიანის დამოკიდებულება მოქმედ კანონმდებლობასთან თუ სახელმწიფო ხელისუფლებასთან. სწორედ იდეოლოგიის მეშვეობით ხორციელდება სამართალშემოქმედება და სამართლის რეალიზაცია.

იდეოლოგიასთან ერთად სამართალზე მოქმედებს **ფსიქოლოგიაც**, ანუ, გრძნობები, აზრები, რომლებიც წარმოიშობა ნორმის გამოცემის დროს. ემოციები ორგანულადაა შერწყნული ცნობიერების სფეროსთან და ადამიანს არ შეუძლია იხელმძღვანელოს მხოლოდ რაციონალური აზროვნებით. ემოციური შეფერილობა არსებითად ზემოქმედებს სამართლებრივი ქცევის მიმართულებაზე.

ასე რომ, სამართალი მხოლოდ რეგულატორი არაა, მას შემეცნებითი და შეფასებითი ფუნქციაც გააჩნია. ამიტომ, მხოლოდ ფუნდამენტური და მრავალმხრივი გარანტიები ქმნიან ადამიანის უფლებათა დაცვის მყარ სამართლებრივ ბაზას.

როგორია უფლების, როგორც ღირებულების და მისი დაცვის გარანტიების **დღევანდელი რეალობა?** რა ღირებულებებით ვითარდება ისინი?

XX-ს-ის მიწურულსა და XXI ს-ს დასაწყისში ადამიანის უფლებები ჰიპერტროფიას განიცდიან. 2007 წლის გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა დარტყმა მიაყენა ადამიანის უფლებებს. «World Report 2013» -ის ანგარიშში,

რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერაა მომზადებული ნათქვამია, რომ ევროპის ლიდერებმა ვერ შეძლეს ამ სფეროში სერიოზული პრობლემების გადაწყვეტა, უამრავი მიგრანტი და ლტოლვილი კვლავ იღუპება ევროპის მისადგომებთან. კრიზისის გამო ადამიანებმა დაკარგეს სამუშაო, საცხოვრებელი, არის შიმშილი, დაუცველია ქალები, ბავშვები, სახელმწიფოებმა ვერ აღმოფხვრეს ფინანსური კრიზისის ფესვები და ამით უდიდესი დარტყმა მიაყენეს ადამიანის უფლებათა განხორციელების მთავარ მიზანს - კეთილდღეობის გაუმჯობესებას. თვალშისაცემია ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტების ეფექტურობის დაქვეითება. თუ ხელისუფლებები დროულად არ გაანალიზებენ ამ საფრთხეებს, ადამიანის უფლებები მეორეხარისხოვან ადგილს დაიკავენ და ის აღარ იქნება ძირითადი ღირებულება. ასეთ პირობებში იწყება soft power – რბილი ძალის – გამოყენება, რაც ადამიანების უფლებებით მანიპულირებაში გამოიხატება, კრიტიკულ ზღვარს მიაღწია ამა თუ იმ უფლებისამი უპირატესობის მინიჭებამ (მაგ.: აშშ-ში აფროამერიკელებს უპირატესი უფლებები გააჩნიათ მოსახლეობის სხვა ჯგუფებთან შედარებით). მიმდინარეობს უფლებათა პოლიტიზაცია, რაც ინდივიდუალური უფლებების კრიზისის ფონზე კოლექტიური უფლებების წინ წამოწევით ხორციელდება. არ უარყოფ კოლექტივის (ჯგუფის) ინტერესებს, ასეთი რამ არც ერთ ჩემს კვლევაში არ ჩანს. მაგრამ ინდივიდუალურ უფლებათა თეორიის ფონზე ხელოვნურად კოლექტიური (ჯგუფური) ინტერესების გამოკვეთა პრობლემის გადაფრვას უფრო ჰგავს, ვიდრე უფლებათა განვითარებას.

კოლექტიურ უფლებათა განვითარების თვალსაზრისით ნამდვილად წინგადადგმულ ნაბიჯად მიმაჩნია 1992 წლის დეკლარაცია ეროვნულ, ეთნიკურ, რელიგიურ თუ ენობრივ უმცირესობათა შესახებ. წინააღმდეგობები ამ დეკლარაციის გარშემო უმცირესობათა უფლების აღიარების გამო კი არ შეიქმნა, არამედ მისი არასწორად გამოყენების გამო. თუ დემოკრატიული თეორია უმცირესობათა უფლებების დაცვაში იმას გულისხმობს, რომ უმრავლესობამ უმცირესობის რეპრესია არ უნდა განახორციელოს, რატომ გაჩნდა ახალი ფორმულა “უმცირესობა ყოველთვის მართალია”. უფლების იდეის პრივილეგიებამდე დაყვანა შეცდომაა და ანტიდემოკრატიულია.

ბოლო პერიოდის საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები უმცირესობათა დაცვის სფეროში აქცენტს მოსახლეობის სტატუსის რეგლამენტაციაზე აკეთებენ, ანუ მათზე, ვინც სატიტულო ნაციას არ მიეკუთვნებიან ან განსხვავებული ენობრივი თუ მრწამსის მატარებლები არიან. ნიშანდობლივია, რომ, მთავარი ყურადღება გადატანილია მათ წარმომადგენლობაზე სახელმწიფო ხელისუფლებაში ან კულტურული თვითიდენტობის შენარჩუნებაზე. დაძაბულობას ამ მიმართულებით იდეა კი არ ქმნის, არამედ მისი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. კითხვაზე - რომელი ჯგუფები ითვლება უმცირესობად? – პასუხი საერთაშორისო დოკუმენტებში არასრულყოფილია. ეს ფაქტის საკითხია და ყველა განმარტება ობიექტურ (ეთნიკური, ენობრივი, რელიგიური) და სუბიექტურ (ის ვინც თავს უმცირესობად მიიჩნევს) ფაქტორებს ითვალისწინებს.

ხშირად დგება საკითხი არის თუ არა უმცირესობა ინვალიდები, ესა თუ ის პოლიტიკური ჯგუფები, გარკვეული სექსუალური ორიენტაციის პირები.

გართიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაცია მართალია მხოლოდ ეთნიკურ, ენობრივ და რელიგიურ უმცირესობაზე საუბრობს, მაგრამ პრაქტიკაში უმცირესობის უფლებების შინაარსი ფაქტობრივად მრავალი მიმართულებით განვითარდა (სქესი, სექსუალური ორიენტაცია და სხვა).

და მაინც ვსვამ კითხვას, **ხომ არ ქმნის ხელოვნურ კრიზისს ადამიანის უფლებების კარდინალური გადაფასება და ვირტუალურ სამყაროში პრობლემის გადატანა?** უმცირესობათა ამდენი კატეგორიები უფლების სუბიექტთა მრავალფეროვნება კი არაა, არამედ საზოგადოებრივი დაჩიხულობაა და თვით უმრავლესობის ცნებას ხდის აბსურდულს.

ადამიანის უფლებები კონფლიქტში არ უნდა მოვიდეს სამყაროსთან. მართალია ამ უფლებებს სხვადასხვა მსოფლმხედველობითი წყაროები გააჩნია მაგრამ მარადიულ ღირებულებებთან კონტაქტის გაწყვეტაა სწორედ კრიზის საფუძველი. რას მაძლევს თავისუფლება თუ ის ზიზღსა და შეუწყნარებლობას ბადებს? თუ ღირებულებებს არად აგდებს? რა არის ეს - გაცნობიერებული აუცილებლობა თუ ზნეობრივი ბარიერების არარსებობა? თავისუფლების ფილოსოფიური კატეგორია ამ შემთხვევაში ინდივიდს უკავშირდება და არა მათ ხელოვნურ გაერთიანებას.

როგორ უნდა დაიძლიოს კრიზისი უფლებათა სფეროში?

ვფიქრობ, უფლებათა თანამედროვე კონცეფცია უნდა გათავისუფლდეს ვირტუალური და მოჩვენებითი ხედვებისაგან. უფლება ღირებული რომ იყოს, თვითონ უფლებები უნდა ეყრდნობოდეს ღირებულ საწყისებს. სიცოცხლისათვის აუცილებელი უფლებანი – შრომის, ჯანმრთელობის, საცხოვრებლის, განათლების, საკუთრების, აზრის გამოხატვის, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა - არ უნდა გადფაროს სხვა პრობლემებმა, და ისიც უფლებათა დაცვის იდეით. სამართლიანობა და არა ანარქიული ინდივიდი ანარქიულ გარემოში. ინდივიდის ღირსებისა და მორალის საზომი სწორედ კეთილდღეობა უნდა იყოს, სადაც იგი თავს სახელმწიფოს ჭანჭიკად არ იგრძნობს.

უფლებადამცველები გასულ საუკუნეებში იბრძოდნენ სახელმწიფოს ჩაურევლობაზე ადამიანის უფლებებში. მიზნის მისაღწევად ისინი სვამდნენ კითხვას “რატომ?” და კიდევაც აღწევდნენ მიზანს. რატომ უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევის უფლება? თანამედროვე უფლებადამცველები საწინააღმდეგო მიდგომას იყენებენ: “რატომაც არა?” რატომაც არ შეუძლია ადამიანს ეწეოდეს ჰომოსექსუალიზმს? რატომაც არ უნდა დაქორწინდეს თავისივე სქესის წარმომადგენელთან? ეს კითხვები იმავე ლოგიკიდანაა, რომლის მიხედვით, უარყოფითი მტკიცებულებების უარყოფით ჰიპოთეზის დამტკიცება შეუძლებელია და მეცნიერული თვალსაზრისით სულ მცირე არაკორექტულად ითვლება.

რეალობასა და მუნჯ თავისუფლებას შორის უფლებათა დაცვის ერთი პრინციპი არსებობს: “როგორც გინდა რომ შენ გეპყრობოდნენ, ისე მოეპყარი სხვას” კანონობის საიდუმლო ამ პრინციპის გამოყენებისას უფლებათა დაცვის სხვადასხვა ხედვებსა თეორიებში კი არ არის, არამედ ცალკეული უფლების უნივერსალობის აღიარებაშია, არ შეიძლება ერთი უფლების დაცვა მეორეს დიკრიმინაციის ხარჯზე და პირიქით. ადამიანის უფლებათა თეორიის პრინციპი ერთეულის უნივერსალობის კატეგორია კი არაა, არამედ უნივერსალობისა და განსხვავებულობის ერთიანობაა. ტოლერანტობისა და პოლიტორექტულობის

ხარჯზე პროპაგანდისტული და საგანმანათლებლო მეთოდებით “ჰუმანიტარულ ექსპანსიას” შეიძლება გარკვეული დროის მანძილზე წარმატება ჰქონდეს, მაგრამ ცხადია, რომ დროთა განმავლობაში მას უფრო და უფრო მეტი ადამიანები შეეწინააღმდეგებიან, რადგან ადამიანის უფლებათა პრინციპების განუსაზღვრელობა და მხოლოდ დეკლარირება უფლებათა რეალიზაციის მექანიზმების ჩართვის გარეშე ტოტალიტარიზმისთვისაა განწირული. პიროვნებას, საზოგადოებას და სახელმწიფოს შორის ამგვარი ურთიერთმიმართების აღიარება, პრობლემათა მეცნიერული დამუშავება, რეალიზაციის პროცესის მუდმივი ანალიზი და სამართლებრივი უზრუნველყოფა ქმნის ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემას, ხოლო ამ სისტემის ელემენტებს შორის წონასწორობის მუდმივი შენარჩუნება არის უფლებათა დაცვის რეალური გარანტი.

დასკვნა:

სიცოცხლისათვის აუცილებელი უფლებანი – შრომის, ჯანმრთელობის, საცხოვრებლის, განათლების, საკუთრების, აზრის გამოხატვის, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა – რომ არ გადფაროს სხვა პრობლემებმა, ამიტომ აუცილებელია:

- დიალოგი და სისტემატური კონსულტაციები – უფლებათა დაცვის თეორიებს შორის კონსენსუსითვის.
- საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევის გაძლიერება სოციალური ქარტიისა და ევროპის სოციალური კოდექსის სტანდარტების დანერგვისათვის.
- სოციალური უფლებების სფეროში სერიოზული და თანმიმდევრული პროგრამების შექმნა - “ღირსეული თანაარსებობისათვის”
- გარანტიების უზრუნველყოფა მხოლოდ კულტურული და სამართლებრივი მექანიზმების სინთეზის საფუძველზე.

არა მხოლოდ უფლებათა უზენაესი ღირებულება, არამედ უფლებებშიც უნდა აისახოს ღირსებისა და თავისუფლების ღირებულებები; არა მარტო სახელმწიფო და სამართალია უფლებათა დაცვის გარანტი, არამედ საზოგადოებას, სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის მუდმივი დიალოგი უფლებებისა და ვალდებულებების კორელაციური სისტემის შექმნაზე, სწორედ ასეთი წანამძღვრების შემთხვევაში აქვს აზრი რუდოლფ ფონ იერიხის სიტყვებს:

“ერთს აბრძოლებს ფხიზელი ანგარიში, მეორეს – უფლების შელახვით გამოწვეული ტკივილი, მესამეს – შევრძნება თავისი მოვალეობისა, ხოლო ყველა ისინი ებრძვიან ძალადობას და უსამართლობას.”

17.09.2013.

*მარიამ ცაცანაშვილი – პროფესორი,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.*